აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

ტექსტილის ტექნოლოგიისა და დიზაინის დეპარტამენტი

# სამაგისტრო პროგრამა:
# არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა და ექსპერტიზა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
საინჟინრო

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ტექნოლოგიების მაგისტრი არასასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობასა და ექსპერტიზაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ელიზაბეტა ბუაძე
საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ.: 899554118
E-mail: **lizabuadze@mail.ru**

ქუთაისი

2008

## 1. პროგრამის მიზნები და ამოცანები

დღეისათვის მსოფლიოს წინაშე მწვავედ დგას საქონლის ხარისხისა და უვნებლობის პრობლემა რაც საქონლის ვაჭრობის და მრეწველობის  გლობალიზაციის შედეგთა დვ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაბინძურებული წარმოების ზრდითაა გამოწვეული.გაიხსნა საზღვრები და ქვეყანაში მიმდინარეობს სხვადასხვა საქონლით თავისუფალი ვაჭრობა.საინფორმაციო საშუალებებით, რანჟირების გამოკითხვებით და თვით გამოცდილებიდან გამომდინარე ნათელი ხდება თუ რა დაბალი ხარისხის საქონელი შემოდის ბაზარზე და არა მარტო სასაქონლო ხარისხის სრულყოფით, არამედ ბევრ საქონელს ახასიათებთ მავნე თვისებები ისინი  ხმარებისას იწვევენ ალერგიას და სხვადასხვა სახის დაავადებებს.

აქედან გამომდინარე ნათელი ხდება თუ რა დიდი როლი  აქვს  არასასურსათო საქონლის ხარისხის  კონტროლს. ამასთან დაკავშირებით სერიოზული ამოცანების წინაშე დგას განათლების სისტემაც, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანა შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებით.

უკანასკნელ პერიოდში ხარისხის პრობლემის აქტუალობამ განაპირობა პროდუქციის ხარისხის  ამაღლების მეთოდებისა  და საშუალებებს განვითარებების აუცილებლობა და იმ მიმართულებების შემუშავება, სადაც უპირატესობა მიენიჭება  საქონელმცოდნეს, რომლის საბოლოო მიზანია  მოსახლეობის მაღალხარისხოვანი  საქონლით უზრუნველყოფა და მომხმარებელთა  უფლებების დაცვა.

ასეთი სპეციალისტის მომზადება წარმოადგენს წინამდებარე პროგრამის მიზანს. ამ სპეციალობის წარმმართველი პრინციპია არასასურსათო საქონლის ხარისხისა და უსაფრთხოებაზე მოქმედი ყველა ფაქტორისადმი ინტეგრირებული და კომპლექსური მიდგომა.

## 2. კურსდამთავრებულთა დასაქმება

საქონელმცოდნის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქვეყნის შიგნით და იმპორტირებული სამრეწველო საქონლის ხარისხისა და საექსპლუატაციო თვისებების ექსპერტიზა; სტანდარტებთან და ნორმატიულ დოკუმენტაციასთან მისი შესაბამისობის დადგენა; სამრეწველო საწარმოებში  (ფირმებში და სავაჭრო ორგანიზაციებში) საქონლის პროცესის უზრუნველყოფა (ახალი საქონლის დანერგვა, საქონლის საწარმოო ციკლის შეუფერხებელი მიმდინარეობა, მოთხოვნა-მიწოდების ანალიზი, გასაღება-რეალიზაციის სტიმულირების ღონისძიებების შემუშავება); საჯარო (საბაჟო, საგადასახადო, ფინანსური პოლიციის ორგანოებში და ა.შ.) საზოგადოებრივი (მომხმარბელთა უფლებების დაცვის) და კერძო მაკონტროლებელი და ექსპერტული ორგანიზაციებისა და ფირმების კომპეტენტური საქმიანობა იმპორტირებული და ადგილზე წარმოებული საქონლის ხარისხის ობიექტური ექსპერტიზისა და კონტროლის სფეროში მოსახლეობის მავნე და მდარე ხარისხის ნაწარმისაგან დაცვის მიზნით.

არასასურსათო საქონლის ექსპერტი თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად შესაძლებელია დასაქმდეს არასასურსათო საქონლის ხარისხის პრობლემებით დაინტერესებული დაწესებულებები:

- არასასურსათო პროდუქციის მწარმოებელ კომპანიები
- სავაჭრო კომპანიები
- ექსპერტიზის ბიუროებში
- სერტიფიკაციის ორგანოებში
- დამოუკიდებელი მარკეტინგულ კომპანიებში
- ხარისხის კონტროლის ორგანოებში
- სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებში
- საბაჟო სამსახურში
- მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურში

## 3.სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

- პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი
- მაგისტრის წოდების მოსაპოვებლად მაგისტრმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი ECTS სისტემის მიხედვით
  - აკადემიური წლის განმავლობაში 60 კრედიტი,ხოლო სემესტრში 30 კრედიტი

- 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს
- სუფთა სააუდიტორიო 1 კრედიტი უდრის 9 საათს (დანარჩენი სხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად)
- კურსების სწავლა ხდება ოთხივე სემესტრის განმავლობაში, პარალელურად სრულდება სამეცნიერო თემა
- პროგრამაში შემავალი კურსები იყოფა ორ კატეგორიად:ძირითად და არჩევით

## პროგრამის სტრუქტურა

| № | I სემესტრი | კრედიტი | II სემესტრი | კრედიტი |
|---|---|---|---|---|
| 1 | პედაგოგიკა და ფსიქოლოგია | 5 | | |
| 2 | უცხო ენა | 5 | უცხო ენა | 5 |
| 3. | არჩევითი | 5 | | |
| 4. | საქონელმცოდნეობის თეორიული საფუძვლები | 5 | | |
| 5. | სამრეწველო ნაწარმის მასალათმცოდნეობა | 5 | ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი | 5 |
| 6. | | | პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური | 5 |
| 7 | | | კონტროლის მეთოდები და საშუალებები | 5 |
| 8 | | | სამრეწველო საქონლის საქონმცოდნეობა | 10 |
| 9 | სამეცნიერო –კვლევითი მუშაობა | 5 | სამეცნიერო – კვლევითი მუშაობა | 5 |
| | ს უ ლ | 30 | ს უ ლ | 30 |
| | III სემესტრი | კრედიტი | IV სემესტრი | კრედიტი |
| 1 | სამრეწველო პროდუქციის ხარისხის ექსპერტიზა | 5 | | |
| 2 | სამრეწველო პროდუქციის საქონელმცოდნეობა | 5 | | |
| 3 | საბუღალტრო აღრიცხვა | 5 | საბუღალტრო აღრიცხვა | 5 |
| 4 | | | სამრეწველო პროდუქციის ასორტიმენტის ფორმირების საფუძვლები | 5 |
| 5 | სამეცნიერო-პედაგოგიური | 5 | | |
| 6 | | | არჩევითები | 5 |
| 7 | | | სამეცნიერო –კვლევითი პრაქტიკა | 5 |
| 8 | სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობა | 10 | სამაგისტრო დისერტაციაზე მუშაობა | 10 |
| | ს უ ლ | 30 | ს უ ლ | 30 |

## 4. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.